

საქართველოს ეროვნული მუზეუმი



GEORGIAN NATIONAL MUSEUM

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

ზიგმუნტ ZYGMUNT
ვალისევსკი ZYGA
WALISZEWSKI

120




www.museum.ge
facebook.com/GNMuseum





ზიგმუნტ (ზიგა) ვალიშევსკი, 1911

Zygmunt Waliszewski, 1911



Tiflis, Georgia 1900

სოლონელი მხატვარი ზიგმუნტ (ზიგა) ვალიშევსკი 1897 წლის 7 დეკემბერს დაიბადა პეტერბურგში. 1907 წელს ოჯახი ტფილისში დასახლდა. მამა ვლადიმერ ვალიშევსკი მალე გარდაიცვალა და დედამ სამი შვილი 1908 წელს საცხოვრებლად ბათუმში გადაიყვანა. იქ ზიგა ნიკოლოზ სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის სასწავლებელში შეიყვანეს. მალე ნიჭიერ მოსწავლეს სკლიფასოვსკიმ პერსონალური გამოფენა გაუმართა სახელწოდებით „საოცარი ბავშვი“. ამ გამოფენის შესახებ რეცენზიაში ვკითხულობთ: „ბიჭს...აქვს ხატვის ნიჭი... დაჯილდოებულია მგზნებარე ტემპერამენტითა და იუმორის გრძნობით“. 11 წლის ზიგას სამთავრობო სტიპენდია დაუნიშნეს. 1909 წელს სკლიფასოვსკი საცხოვრებლად გადმოვიდა ტფილისში, ვალიშევსკებიც მასთან ერთად გამოემგზავრნენ. ზიგამ სკლიფასოვსკისთან ახლა უკვე ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. მისი პედაგოგი ბორის ფოგელი იყო. სწავლის პერიოდში ზიგამ შექმნა ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ ასლი. მოზარდის ხატვის ტექნიკამ ხელოვნების კრიტიკოსები გააოცა.



საიდუმლო სერობა. 1907 წ. ქალაქი, ტემპერა. 148x360,7
Last Supper. 1907. Tempera on paper. 148x360,7

სკლიფასოვსკის სტუდიაში იგი დაუმეგობრდა კირილე ზდანევიჩს. ისინი მრავალი წელი საუკეთესო მეგობრები იყვნენ, საერთო ინტერესებითა და მისწრაფებებით.

მაედნის კუთხე, ტფილისი. ქალაქი, ფანქარი. 31,3x22,2
The Corner of Meydan, Tiflis. Pencil on paper. 31,3x22,2



სენატორი ვატანცი ნ. კ. სკლიფასოვსკის სამხატვრო სკოლაში (შარჟი). ქალაქი, აქვარელი, ტუში. 22x35,5

Senator Vatsantsi in the Art School of N. K. Sklifosovsky (a caricature). Watercolor and Indian ink on paper. 22x35,5

1912-13 წლებში ზიგა ვალიშევსკი კირილე და ილია ზდანევიჩებთან, ასევე მიხეილ ლე დანტიუსთან ერთად შეხვდა ნიკო ფიროსმანაშვილს. მხატვრის შემოქმედებამ მოხიბლა ახალგაზრდები, რომლებმაც ფიროსმანაშვილის მხატვრობის გადარჩენა, შეგროვება და პოპულარიზაცია დაისახეს მიზნად. მათ ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების კატალოგიც შეადგინეს.

1915 წელს 18 წლის ზიგამ საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყო ტფილისში.

იმავე წელს მხატვარი მოხალისედ წავიდა I მსოფლიო ომში, სადაც კირილე ზდანევიჩის ასეულში მსახურობდა. „ცოცხალი, მხიარული, მახვილგონიერი ზიგა აღამაზებდა სანგრის ცხოვრებას,“ - იხსენებდა კირილე ზდანევიჩი. თავად ზიგასთვის სამხედრო სამსახურში გატარებული წლები საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან დახვეწა საკუთარი ოსტატობა - შექმნა ასობით ჯარისკაცის პორტრეტი, შარჟი, გააკეთა უამრავი ჩანახატი.

1917 წელს ზიგა მძიმედ დაიჭრა ფეხში და ტფილისში დაბრუნდა.

„ზიგა იყო მაღალი, ტანადი, ლამაზი და კეთილშობილი გარეგნობის ახალგაზრდა, განსაცვიფრებლად რბილი ხასიათითა და შესანიშნავი სულიერი თვისებებით. ზიგა მახსოვს მუდამ სიცოცხლით სავსე, მხიარული, რომელიც გიზიდავდა თავისი უსაზღვრო ოპტიმიზმით. ზიგა იყო სწრაფი მოქმედებებსა და აზროვნებაში, სწორედ ისეთი, როგორიც მისი ხელოვნება,“ - წერდა თავის მოგონებებში ლადო გუდიაშვილი, რომელმაც ომიდან დაბრუნებული ზიგა ზდანევიჩებთან გაიცნო და დაუმეგობრდა.

ზიგა ტფილისელი მოდერნისტი მხატვრებისა და მწერლების სამეგობრო წრის აქტიური წევრი გახდა და მათთან ერთად მოღვაწეობდა. ამ დროის ტფილისის კულტურული ცხოვრება არაჩვეულებრივი შემოქმედებითი მრავალფეროვნებითა და შეუდარებელი აქტიურობით, ავანგარდული ინტერესებითა და სიახლეებისადმი სწრაფვით გამოირჩეოდა. შე-



ჟურნალ „Ars“ -ის გარეკანის ესკიზი. ქალაქი, ტუში. 35,5x22
A sketch of the journal „Ars“ cover. Indian ink on paper. 35,5x22



ბულვარი.
ქალაქი,
ტუში. 16,5x13
Boulevard. Ink on
paper. 16,5x13

მოქმედთა ახალგა-
ზრდა თაობას არ
აკმაყოფილებდა რე-
ალობას მონყვეტილი,
შეზღუდული და უსი-
ცოცხლო, სალონური,
აკადემიური ხელოვნება.
ისინი სამყაროს აღქმისა და
საკუთარი დამოკიდებულე-
ბის გამოხატვის ახალ ფორმე-
ბსა და ხერხებს ეძებდნენ.

ძმებ ზდანევიჩებთან, ლადო
გუდიაშვილთან, კოლაუ ჩერნია-
ვსკისთან, იური დეგენთან, ყა-
რა-დარვიშთან ერთად ზიგა ე.წ.
„ფუტურისტების სინდიკატის“ და-
არსებაში აქტიურად იყო ჩართული.
მონაწილეობდა საჯარო ლექციებისა

და დისპუტების მოწყობაში, წიგნების გამოცემაში, ქმნიდა ილუსტრაცი-
ებს. ზიგას გრაფიკული ილუსტრაციებით გააფორმეს ფუტურისტების
პოეზიის კრებული. კირილე ზდანევიჩთან, ლადო გუდიაშვილსა და და-
ვით კაკაბაძესთან ერთად ზიგამ „ფანტასტიკური ყავახანა“ მოხატა. „...
მწერლების თხოვნით, მე, კირილე ზდანევიჩმა და ზიგა ვალიშევსკიმ ამ
კაფეს კედლებიც მოვხატეთ, მაგრამ ისევე, როგორც ბევრი რამ მაში-
ნდელი, ეს მხატვრობაც დაიკარგა...“ - იხსენებდა ლადო გუდიაშვილი.
ზიგა ცნობილ კაფე „ქიმერიონის“ მოხატვაშიც მონაწილეობდა.

1919 წელს ზიგა ვალიშევსკიმ ალბერტ ზალცმანთან ერთად ოპერისა
და ბალეტის თეატრის ფარდა გააფორმა, სადაც ნანგრევები, ღრუბლები



ცხენოსნები
Riders



ინფანტას დაბადების დღე. ტუში, ქაღალდი.
23×16,5
The Birthday of the Infanta. Indian ink on paper.
23×16,5

და წითელი მზისკენ მსრბოლი მხედარი გამოსახა. როგორც თავად აღნიშნა, მას „ბედთან ადამიანის შერკინების“ გამოხატვა სურდა.

ტფილისში მოღვაწეობისას ვალიშევსკი უმეტესად ქმნიდა პლაკატებს, წიგნის ილუსტრაციებს, კარიკატურებს, გროტესკულ სცენებს, გრაფიკულსა და ფერწერულ პორტრეტებს, პეიზაჟებს. ნაკლებად ხატავდა ზეთის საღებავებით. იგი, უმეტესად, გუაშით, ფანქრით, ტუშითა და პასტელით ქმნიდა მხატვრულ სახეებს. შემოქმედებითი ბუნების მხატვარი არ ერიდებოდა სხვადასხვა სახვითი ხერხის გამოყენებას, ოსტატურ ნახატში ნათლად ვლინდებოდა მხატვრის მიერ სამყაროს განსხვავებული, მახვილი აღქმა, შემოქმედის კეთილშობილება და გულწრფელობა. შავი ფანქრის ერთი-ორი შტრიხით იგი აღწევდა ნატურასთან საოცარ მსგავსებას. მხატვრის კომპოზიციებში კონტურული ნახატი დახვეწილი, ცოცხალი და მეტყველია. ზიგა ვალიშევსკის შემოქმედება ექსპრესიული ხასიათით, ფანტაზიის სიმდიდრით, ირონიისა და იუმორის გრძნო-



ცემი. პეიზაჟი. 1914. მუყაო, ზეთი. 32x40
Tsemi Landscape. Oil on cardboard. 32x40

ბით, ასევე იმპროვიზაციის საოცარი უნარით გამოირჩევა. „თვითმყოფადი ნიჭიერებისა და ორიგინალური ინდივიდუალიზმის წყალობით ახერხებდა სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეს თავისებურება და მისი ინტერესი თანამედროვეობისადმი აახლოებდა ზიგას შემოქმედებას ევროპელი მხატვრების მიერ ახალი ფორმების ძიებასთან. თანამედროვეობის გააზრება მის მიერ ერთდროულად გულისხმობდა სინამდვილის ასახვასა და გამოსახულთა სოციალური ურთიერთობების კრიტიკას“, - წერდა ლადო გუდიაშვილი თავისი მეგობრისა და თანამოღვაწის შემოქმედებზე.

ხელოვნებათმცოდნე სერგეი ორლოვი კი წერილში „ქართველი ფუტურისტების მოსკოვური თავშესაფარი“ ასე ახასიათებდა ზიგა ვალიშევსკის: „ერთი მხრივ, ის ნივთიერ სამყაროს ფანტასმაგორიულად



ჰალსის დარბაზში. ქალაღლი, ფერადი ფანქარი. 25x42
In the Hall of Rubens. Colored pencil on paper. 25x42



რუბენის დარბაზში. ქალაღლი, ფერადი ფანქარი. 25x42
In the Hall of Hals. Colored pencil on paper. 25x42



ზიგა ვალიშევსკი რუბენის ოთახში (შარჟი). ქაღალდი, იტალიური ფანქარი. 21×34
 Zyga Waliszewski in the Room of Rubens (a caricature). Italian pencil on paper. 21×34

ასახავს, მეორე მხრივ, ენობრივად და თემატურად სინთეზური წყობის მხატვარია, გროტესკული სამყაროს შემქმნელი. ჯუჯები, მარკიზები, აკრობატები, კომედიანტები, ამურები, ელფები, მარიონეტები სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის პერსონაჟები სხვადასხვა მხატვრული ტრადიციითა და სინთეზით იქმნება - ანტიკური თუ შუა საუკუნეების, ბაროკული თუ პოსტიმპრესიონისტული, ლუბოკის, პრიმიტივის, თეატრის აფიშისა თუ სხვა ენათა შერწყმით მისი მხატვრობა თითქმის სიმბოლიზმის, იგავის, თეატრის, სინამდვილისა და გამოგონილის მიჯნაზე დგას.“

ვალიშევსკის მხატვრული ენის მრავალფეროვნებას ღრმა საფუძველი გააჩნდა. იგი გატაცებული იყო გოიას, ველასკესის, რემბრანდტის, რუბენის, ვერონეზეს, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებით. მოგვიანებით მას უკვე აინტერესებს მხატვრები - ენგრი, დელაკრუა, მანე, სეზანი, პიკასო, ფუტურისტები. ის მუდმივად აკეთებდა ამ მხატვართა ნამუშევრების ჩანახატებს. ინტერპრეტაციის საოცარი უნარის წყალობით მხატვარი ხშირად ამ დიდი ოსტატების სურათების სიუჟეტებს გროტესკულ ჩანახატებად გარდაქმნიდა. „მე არ ვიცი, თუ არსებობს მე-

ორე ასეთი ხელოვანი, ვინც უფრო მეტად იყო გაჟღენთილი სამხატვრო ხელოვნებით და, იმავდროულად, ასე ნაკლებად იგრძნობოდა მის შემოქმედებაში უცხო გავლენა“, - წერდა ზიგას მეგობარი, ხელოვნებათმცოდნე იოზეფ ჩაფსკი.

1920 წელს ზიგა ვალიშევსკის გამოფენა კავკასიაში პოლონეთის რეს-



ზიგა ვალიშევსკი დასთან, ვალერიასთან ერთად, 1930
Zygmunt Waliszewski with sister Valeria, 1930



პოტაპოვის პორტრეტი. ქალღი, ფანქარი. 94x64
The Portrait of Potapov. 94x64. Pencil on paper. 64x54



ავტოპორტრეტი. მუყაო, ზეთი. 37×30
Self-portrait. Oil on cardboard. 37×30



სახლში. ქალაღდი, ფანქარი. 19x13. 1920-იანი წლები

At home. Pencil on paper. 19x13. 1920s



ზუსტად ისე, როგორც ჯონსონი. ფანქარი, ქალაღდი. 19x13

Just like Johnson. Pencil on paper. 19x13



დაკვრა ოთხი ხელით. ქალაღდი, ტუში. 12,5x18,5

Playing in Four Hands. Indian ink on paper. 12, 5x18,5



ორნი. ქალაღდი, ფანქარი. 19×13. 1920-იანი წლები
En Deux. Pencil on paper. 19×13. 1920s.



ქალი სავარძელში. ქალაღდი, ფანქარი. 19×13
A Woman in an Armchair. Pencil on paper. 19×13

პუბლიკის სპეციალური დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელმა ტიტუს ფილიპოვიჩმა მოინახულა, მოიხიბლა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებით და შესთავაზა პოლონეთში სწავლის გაგრძელება.

1921 წელს ზიგა ტფილისიდან საცხოვრებლად კრაკოვში (პოლონეთი) გადავიდა, სწავლობდა და მუშაობდა კრაკოვის ხელოვნების აკადემიაში, პროფესორ ვოიცეჰ ვეისის სტუდიაში. იქვე შეხვდა და დაუმეგობრდა იოზეფ ჩაფსკის.

1923 წლიდან ის უკვე პროფესორ იოზეფ პანკიევიჩის სტუდიაშია და ხელოვანთა ჯგუფ „პარიზის კომიტეტის“ (KP, Capists) თანადამფუძნებელია.

1924 წლის 1 სექტემბერს ზიგა ამ ჯგუფთან ერთად პარიზში გაემგზავრა. „პარიზის კომიტეტის“ წევრები - „კაპისტები“ აქტიურად მოღვაწეობდნენ პარიზში. 1931 წელს ისინი კვლავ პოლონეთში დაბრუნდნენ.

ზიგას ომში მიღებული ჭრილობებისაგან განვითარებული ბერგერის უმძიმესი დაავადების გამო პარიზში ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ფეხი მო-



ჩაფიქრებული ქალი. 1918 წ. ქალაღდი, ფანქარი. 32,5x25,5
A Thoughtful Woman. Pencil on paper. 32,5x25,5



ტატიანა ბეიერის პორტრეტი. ქალღი, ფანქარი. 25,5×17,5
The Portrait of Tatyana Bayer. Pencil on paper. 25,5×17,5



ძალღი. ქალღღი, ფანქარი. 12,5x20,5

A Dog. Pencil on paper. 12,5x20,5

კვეთეს, რის გამოც სამშობლოში ეტლით დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ბუნებით ოპტიმისტმა 1933 წელს პიანისტ ვანდა დრობოცკაზე იქორწინა. მათი თანაცხოვრება სულ 3 წელს გაგრძელდა. 1936 წლის 4 ოქტომბერს 38 წლის ზიგა ვალიშევსკი კრაკოვში მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა.

1931 წელს ზიგა ვალიშევსკი საუკეთესო ნატურმორტებისათვის დაჯილდოვეს, 1934 წელს მისი სურათი „ნადიმი“ ვარშავის მერიის ჯილდოთი აღინიშნა, 1936 წელს კი მხატვრების სალონში მან საპატიო პრიზი დაიმსახურა ნამუშევრისათვის „სიყვარულის კუნძული“. სიკვდილის შემდეგ მხატვარი Polonia Restituta Order - ის ოფიცრის ჯვრის კავალერი გახდა.

„ყოველთვის მხიარული.... ყოველთვის ფანქრით, კალმით ან ფუნჯით ხელში... იხატავდა ყველაფერს, რასაც კი მისი მახვილი თვალი შეამჩნევდა. ნებისმიერი რამ შეეძლო სახატავ მასალად გამოეყენებინა: მელანი, საღებავები, ქარხლის წვენიც კი, ძველი პლაკატისა და მუყაოს ნაგლეჯე-



სავარძელში მჯდომი გოგონას პორტრეტი. ტილო, ზეთი. 74x60
The Portrait of a Girl Sitting in an Armchair. Oil on canvas. 74x60

ბი. ჩვენთან საუბრისას სიცილ-სიცილ უამრავი ჩანახატი გაუკეთებია, ესენი იყო ყველა ჩვენგანის სწრაფი ჩანახატები, კარიკატურები, პორტრეტები... იგი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ხატვა მისთვის ისეთივე აუცილებელი და ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც ჩიტისთვის სიმღერა. ჩვენ ყველანი გაოცებულნი ვიყავით მისი ნამუშევრების არაორდინალური აკურატულობით, გამოხატულებითა და არტისტულობით,“ - იხსენებდა მისი პედაგოგის ქალიშვილი სალომე სკლიფასოვსკაია.

ზიგა ვალიშევსკი სამყაროში ტიპურისა და დამახასიათებლის აღმოჩენის დიდოსტატი იყო. ამავე დროს, მას შეუდარებელი ფანტაზია, ტექნიკური ოსტატობა და კომპოზიციის გააზრების გასაოცარი უნარი გააჩნდა. მისი ნიჭიერება ნათლად ვლინდებოდა როგორც დიდ კომპოზიციებში, ისე პორტრეტებსა თუ ნატურმორტებში. მახვილი თვალი, თამამი მანერა და თავდაჯერებულობა განსაზღვრავს ვალიშევსკის ნამუშევრების მომხიბვლელობას. ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრებისა და მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ზიგა ვალიშევსკიმ საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა - საესე სინათლით, სიცოცხლითა და სიხალისით.




კარიკატურული ჩანახატი. ფერადი ლინოგრაფიურა. 13,3×17,5

A Caricature Sketch. Colored linocut. 13,3×17,5



ზიგმუნტ (ზიგა) ვალიშევსკი, 1930

Zygmunt Waliszewski, 1930




Polish painter Zygmunt (Zyga) Waliszewski was born on December 7th, 1897 in St. Petersburg. In 1907 his family settled in Tiflis. Before long, his father Vladimir Waliszewski passed away and the family - Zygmunt's mother with her three children moved to Batumi. In Batumi Zyga began his studies in the School of Painting and Drawing under the tutelage of N. Sklifosovsky. Soon, Sklifosovsky organized a personal exhibition of the works of his talented student - "An Amazing Child". A review on this exhibition reads: "The boy... has an aptitude for drawing... He's gifted with a fiery temper and a sense of humor." 11-year-old Zyga was granted a state scholarship. In 1909 Sklifosovsky moved to Tiflis. The family of the Waliszewskis accompanied him. In Tiflis Zyga continued his studies with Sklifosovsky, this time - at Tbilisi College of Art. Boris Fogel was his teacher. During his studies Zyga created a copy of Leonardo Da Vinci's "The Last Supper". The drawing technique of the young man surprised art critics.

In the studio of Sklifosovsky, Waliszewski made friends with Cyril Zdanevich. The friendship of the two, backed up with common interests and aspirations, lasted for many years.

In 1912-13, together with Cyril and Ilia Zdanevich as well as Mikhail Le Dentu, Zyga Waliszewski met Niko Piroshmanashvili. The works of the artist made an impact on the young men. They set themselves a goal to save, collect and promote




მოქანდაკესთან. ქალაქი, ტუში
At Sculptor's studio. Indian ink on paper



იყურება და იცინის. ქალაქი, ფანქარი.
19×13

Looking and laughing. Pencil on paper. 19×13



დობრივი ჩამოსდის. ქალაქი, ფანქარი.
19×13,5

Slavering. Pencil on paper. 19×13,5

the art of Pirozmanashvili. The young artists compiled a catalogue of the paintings of Niko Pirozmanashvili.

In 1915, at the age of 18, Zyga exhibited his own works in Tiflis.

In that same year, the artist joined World War I as a volunteer and served in the company of Cyril Zdanevich. Cyril Zdanevich recalls, "Zyga - a lively, joyful and witty man - beautified the life of the entrenchment". Years spent in the military turned out productive for Zyga. He developed his skills as an artist. He created portraits and caricatures of hundreds of soldiers, and made numerous sketches.

In 1917, Zyga was badly wounded in his leg and had to return to Tiflis.

"Zyga was a tall, well-built, handsome and refined young man, with an amazingly soft character and conspicuous spirituality. I remember Zyga as an always lively and joyful man, immensely attractive in his infinite optimism. Zyga was quick in acting and thinking, just like his art," - wrote Lado Gudishvili in his memoirs. The artist met Zyga at the place of Zdanevich's and made friends with him, after the latter had returned from the war.

Zyga became an active member of the friends of the modernist artists and writers of Tiflis and worked together with them. The cultural life of Tiflis of that time was distinguished with extraordinary creative diversity and unparalleled activity, avant-garde interests and aspiration for innovations. The young generation of creators of that time was not satisfied with the restricted, lifeless academic art of salons that was far from reality. They were searching for new forms and techniques for the perception and representation of the universe.

Zyga was actively involved in the foundation of the so-called "Syndicate of Futurists" together with the Zdanevich brothers, Lado Gudiashvili, Kolau Cherniavsky, Yuri Degen and Kara Darvish. He took part in arranging public lectures and disputes, as well as publishing books. He created illustrations. A collection of futurist poetry was decorated with Zyga's graphical illustrations. Together with




აგრონომ ედმუნდ ლეონოვის ვაჟის პორტრეტი. ქალაქი, ფანქარი. 35x21
The Portrait of the Son of Agronomist Edmund Leonov. Pencil on paper. 35x21



ახალგაზრდა ვაჟი პროფილში. 1918. მუყაო, ფანქარი. 19x18,5
The Portrait of a Young Man. Pencil on cardboard. 19x18,5

Cyril Zdanevich, Lado Gudiashvili and David Kakabadze, Zyga decorated "the fantastic café"... At the request of the writers, Zyga Waliszewski, Cyril Zdanevich and I decorated the walls of this cafe too; but just like much of that time, this artwork has been lost too..." recalled Lado Gudiashvili. Zyga took part in decorating the famous café "Kimerioni" as well.



ნოეს კიდობანი. ქალაქი, ტუში. 21×16,5

Noah's Ark. Indian ink on paper. 21×16,5



პატარა ხელთათმანებში თქვენი სიბოძა. 1920-იანი წლები. ქალაქი, ფანქარი. 19x13.

Gloves. 1920s. Pencil on paper. 19x13

In 1919 Zyga Waliszewski and Albert Zaltsma adorned a curtain of the Opera and Ballet Theater. Ruins, clouds and a rider running towards the red sun were represented on the curtain. As the artist explained, he wanted to express "a man's encounter with the fate."

In Tiflis Waliszewski mainly created posters, book illustrations, caricatures, grotesque scenes, graphic and painting portraits and landscapes. He did not paint much with oil paint. The artist mostly used gouache, pencil, ink and pastel to create his artistic images. As an artist with a creative vision, he never refrained himself from using various artistic techniques. His masterpieces reveal the artist's



ზიგა ვალიშევსკი დასთან, ვალერიასთან ერთად, 1930

Zygmunt Waliszewski with sister Valeria, 1930

perception of the universe which is different and sharp, his graciousness and sincerity. With a couple of strokes of a black pencil he attained an amazing resemblance to the model. This is how Lado Gudiashvili assessed the work of his friend and contemporary Zyga Waliszewski: "He managed to retain complete indepen-



კაკაოს გულების გამყიდველი. 1920-იანი წლები. ქალაქი, ფანქარი. 19×13
The Portrait of a Woman. Pencil on paper. 19×13



ე. გ. პეტრაკოვსკაიას პორტრეტი. ქაღალდი, ტილო, აქვარელი. 195x125
The Portrait of Jelena Pietrakowska. Watercolor on paper stuck on canvas. 195x125



ევროპელი და კავკასიელი. ქალაქი, ფანქარი. 26,5×17,5
A European and a Caucasian. Pencil on paper. 26,5×17,5

dence through his indigenous talent and original individualism. This peculiarity as well as his interest in modernity brought the works of Zyga closer to the search for new forms of European artists. The artist's comprehension of contemporary life had two implications: the depiction of reality and the criticism of the social relationships of those depicted."



ცეკვა პოლკა. ქალაღდი, აკვარელი. 30,5×26,5
The Polka Dance. Watercolor on paper. 30,5×26,5



მამაკაცი სიგარით. ქალაქი, ფანქარი. 28x21,5
A Man with a Cigar. Pencil on paper. 28x21,5

In his letter "The Moscow Shelter of Georgian Futurists", art critic Sergei Orlov gives the following characteristics of Zyga Waliszewski: "On the one hand, he gives a phantasmagoric depiction of the physical world, and on the other hand, he is a painter of synthetic organization in terms of the language and the topics - he is the creator of the grotesque world; dwarfs, marquises, acrobats, comedians, cupids, elves, puppets, characters of different epochs and nations are created by means of various artistic traditions and synthesizing. By combining the languag-



ს. გოროდეცკის მოთხრობა „მოჩვენების“ ილუსტრაცია. ქალაქი, ფანქარი. 28x18,5

Illustration of the story of S. Gorodetsky "The Ghost". Pencil on paper. 28x18,5

es of the antiquities and the Middle Ages, Baroque and Postmodernism, Lubok, Primitivism, the language of theater posters and some others, Zyga's art is almost on the verge of symbolism, a fable, the theatres, reality and fiction".

The diversity of Waliszewski's artistic language had deep roots. He was enchanted with the art of Goya, Velasquez, Rembrandt, Rubens, Veronese, Rafael, and Leonardo da Vinci. Later on, he got interested in Ingres, Delacroix, Manet, Cézanne, Picasso, the futurists. He was constantly doing sketches of the works of these artists. Thanks to his amazing interpretation skills, the artist often transformed plots of

the great masters into grotesque sketches. "I do not know of any other artist who has had such a great exposure to fine arts; yet, whose works have been affected by strange influences so little," wrote Zyga's friend, art critic Józef Czapski.

In 1920, Tytus Filipowicz - head of the special diplomatic service of the Republic of Poland in the Caucasus - attended Zyga Waliszewski's exhibition. Filipowicz was fascinated with the work of the young talented artist and offered him an opportunity to continue his studies in Poland. In 1921, Zyga moved from Tiflis to Kraków (Poland). He studied and worked at the Academy of Fine Arts in Kraków, in the studio of Professor Wojciech Weiss. This is where he met and made friends with Józef Czapski.



ზიგა ვალიშევსკი საკუთარ სახელოსნოში პარიზში, 1930

Zyga Waliszewski in own studio in Paris, 1930



ქალის პორტრეტი. ქაღალდი, ფანქარი
Portrait of a Woman. Pencil on paper



საუბრობს. ქაღალდი, ფანქარი
Speaks. Pencil on paper

From 1923, Zyga is already in the studio of Professor Józef Pankiewicz. He is the co-founder of the group of artists the "Paris Committee" (KP, Kapists).

On September 1, 1924, together with this group Zyga departed for Paris. Members of the "Paris Committee" - "Kapiści" were quite active in Paris, yet in 1931 they returned to Poland.

In Paris, due to the Berger disease developed as a result of war wounds, Zyga had his legs amputated. He returned to his homeland in a wheelchair. Nevertheless, being an optimist by nature, in 1933 Zyga married a pianist - Vanda Drobicka. They lived together for 3 years. On October 4, 1936, at the age of 38 Zyga Waliszewski died in Kraków from a sudden heart attack.

In 1931, Zyga Waliszewski was awarded for the best still life. In 1934 his picture "A Feast" was awarded the Warsaw City Hall Award. In 1936 the Artist's Salon awarded Zyga an honorary prize for his work "Island of Love". Posthumously, Zyga was awarded the cross of the officer of the Polonia Restituta Order.

"Always joyful always with a pencil, a pen or a brush in his hand... he used to draw everything his sharp eye caught a glimpse of. Anything could be used as



ნატურმორტი. ქაღალდი, ფანქარი. 32,5x23,6

A still life. Pencil on paper. 32,5x23,6

drawing material: ink, paints, even beetroot juice, scraps of old posters and carbon. He made numerous sketches while happily talking to us. These were quick sketches of all of us, caricatures, portraits... He left an impression as though drawing was as indispensable and normal to him as chirruping to a bird. We were all amazed by the extraordinary accuracy his works were created with, his expressiveness and artistry," recalls Salome Sklifosovskaya, the daughter of his teacher.

Zyga Waliszewski was a great master of discovering what was typical and characteristic of the universe. At the same time, he had an incredible imagination, technical skills and an amazing ability to comprehend the composition. Large compositions, portraits and still lifes are a clear demonstration of Zyga's talent. A sharp eye, bold manners and self-confidence have determined the magnetism of Waliszewski's works. In spite of his short artistic life and a serious health condition, Zyga Waliszewski has left a rich legacy - full of light, life and merriment.





ზიგმუნტ (ზიგა) ვალიშევსკი, 1935

Zygmunt Waliszewski, 1935



Ministerstwo
Kultury
i Dziedzictwa
Narodowego.



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

განსაკუთრებული მადლობა დახმარებისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის
პოლონეთის კულტურის სამინისტროს
და პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში

Special thanks for help and financial support to the
Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland
and Embassy of the Republic of Poland in Tbilisi

გამოფენის კურატორი და ტექსტის ავტორი	ნინო ხუნდაძე
ექსპოზიციის კოორდინატორი	ლელა წინუაშვილი
რედაქტორი	ნინო ნადარაია
თარგმანი	ირინა ბაბაევა
დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა	ირაკლი ხუციშვილი

გამოფენის მონაწილეობაში მონაწილეობდნენ: მანანა ჭელიძე, დინარა ვაჩნაძე, ეკა კიკნაძე, მაკო მაჭარაშვილი, ნანა გოგელია, ნონა ხარატიშვილი, ნინო ბურდული, თეა ყველაშვილი, ეველინა კარსელი, ეკა თევზაძე, მაია სეთურიძე, ავთო მაისურაძე, თენგიზ ქართველიშვილი, კახა ნიკოლაიშვილი, ზაზა მახარაძე, ზაზა ბესელია, ჯუმბერ დვალი, მარინა ყველიაშვილი, მზია ბერუაშვილი

Curator of the exhibition and author of the text	Nino Khundadze
Coordinator of the exposition	Lela Tsitsuashvili
Editor	Nino Nadaraia
Translation	Irina Babaeva
Design and layout	Irakli Khutsishvili

In organization of the exhibition participated: Manana Tchelidze, Dinara Vachnadze, Eka Kiknadze, Maia Macharashvili, Nana Gogelia, Nona Kharatishvili, Nino Burduli, Thea Kvelashvili, Evelina Karseli, Eka Tevzadze, Maia Seturidze, Avto Maisuradze, Tengiz Kartvelishvili, Kakha Nikolaishvili, Zaza Makharadze, Zaza Beselia, Jumber Dvali, Marina Kveliashvili, Mzia Beruashvili